დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 2

ქ. დმანისი 27 თებერვალი 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24 საკრებულოს წევრი.
აგრეთვე ესწრებოდა - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი.

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი.

სხდომა დაიწყო: 12.:00
სხდომა დასრულდა: 12:30

დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**	
2	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“		
	მომხსენებელი:	**მ.ოკმელაშვილი**	
3	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ		
	მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**	
4	**დადგენილება:** „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**	
5	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**	
6	**განკარგულება:** დმანისი მუნციპალიტეტის მერისთვის „მერების შეთანმებასთან" მიერთებაზე თანხმობის მიცემის შესახებ		
	მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**	
7	**განკარგულება:** ,,სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ'' დმანისის		

	მომხსენებელი:	**ი.სარსევანიძე**

8	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტში 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე

მომხსენებელი:	**მ.აბრამიშვილი**

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული 8 საკითხი:

სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1.მომხსენებელი: თ.ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის #117 განკარგულების საფუძველზე „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობამ შეადგინა 2.520.998,00 ლარი ნაცვლად 2.465.574,00 ლარის. ზრდამ შეადგინა 55.424,00 ლარი, რაც ასახული იქნება გადასახდელების 02_04_01 ორგანიზაციულ კოდი „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი 1.302,8 ათასი ლარის ნაცვლად განიხაზღვრება 1.358,2 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 01 იანვრის #147 განკარგულების „ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისთვის უფლებამოსილების ხელშეკრულების თანახმად დელეგირების შესახებ“ შესაბამისად დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა 682.650,35 ლარის ოდენობით. რაც ითვალისწინებს პერიოდს 2023 წლის 31 ნოემბრის ჩათვლით. აღნიშნული თანხა ასახული იქნება ორგანიზაციული კოდი 04_03 „საჯარო სკოლების დაფინანსება“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი 68,1 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრება 682,7 ათასი ლარის ოდენობით, ანუ ზრდა შეადგენს 614,6 ათას ლარს.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის #301 განკარგულების საფუძველზე „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი“-დან დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო - ქ. დმანისში, კოსტავას ქუჩის რეაბილიტაციის დასრულებისთვის 653.173,00 ლარი. რაც ასახული იქნება ორგანიზაციულ კოდი 02_01_02 „გზების მშენებლობა - რეაბილიტაცია“-ს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში და აღნიშნული მუხლი 961,2 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრება 1614,4 ათასი ლარის ოდენობით.

ორგანიზაციული კოდი 02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლი 1.628,8 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 1228,8 ათასი ლარის ოდენობით, ანუ შემცირდეს 400,0 ათასი ლარით და აღნიშნული თანხა გადატანილი იქნეს ორგანიზაციული კოდი 02_02_02 „სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში და აღნიშნული მუხლი 580,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 980,0 ათასი ლარის ოდენობით.

ორგანიზაციული კოდი 05_02_04 „კულტურული ღონისძიებები“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი 198,5,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 178,5 ათასი ლარის ოდენობით და აღნიშნული სხვაობა 20,0 ათასი ლარის ოდენობით გადატანილი იქნეს ამავე კოდის „გრანტი“-ს მუხლში.

აქედან გამომდინარე დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 27204,5 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 24
წინაღმდეგი: 0

2.**მომხსენებელი : მაკა ოკმელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი- დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.

დადგენილების მიღების მიზანია- უფლება საცხოვრებელზე წარმოადგენს ცხოვრების სათანადო დონის უფლების ელემენტს. აღნიშნული უფლება საერთაშორისო დონეზე გარანტირებულია სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებში: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR) და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICESCR).

სათანადო საცხოვრებლის უფლება წარმოადგენს საფუძველს ადამიანისთვის, რომ მან სრულად განახორციელოს მისი სხვა ეკონომიკური თუ პოლიტიკური უფლებები.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (UDHR), 25-ე მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე (საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით), რომელიც აუცილებელია თავად მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად და უფლება, უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში".

აღნიშნული დადგენილების მიღება:

ა) აისახება დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე 45 000 (ორმოცდა ხუთი ათასი) ლარის ფარგლებში;

ბ) არ აისახება დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილზე;

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 24
წინაღმდეგი: 0

3.**მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი- დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

დადგენილების მიზანია - დმანისის მუნიციპალიტეტში დმანისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენა საბაზრო ღირებულებასთან შესაბამისად.

„სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის [illegible] შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების

გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. გამომდინარე იქიდან, რომ სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2022 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 8 ლარს, სასურველია მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი K (მოქმედი რედაქციით K=30-ს) იყოს 45-ის ტოლი. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მოცემული დადგენილების პროექტით ადგენს, მიმდინარე, 2023 წლის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიულ ფასს - 2,484 ლარის ოდენობით. ხოლო დმანისის მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიებზე მიწის ნორმატიული ფასი ქ. დმანისისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით შეადგენს 1,242 ლარს.

პროექტის გავლენა დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე:

ა) განსახილველ პროექტს გავლენა არ ექნება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ) განსახილველი პროექტი პოზიტიურად აისახება ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 24

წინააღმდეგი: 0

4.მომხსენებელი: ლერი ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დადგენილების მიღების საფუძველი: ა) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები; ბ) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი;

დადგენილების მიზანია „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ დმანისის დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 იანვრის №2 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს ქ. დმანისისა და დმანისის მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიებზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, ერთ კვადრატულ მეტრზე, ქონების წლიური განაკვეთები ახალი რედაქციით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, ერთ კვადრატულ მეტრზე, ქონების წლიური განაკვეთები საჭიროებს გაზრდას, რამაც მოითხოვა „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ დმანისის დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 იანვრის №2 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის გადახედვა და მისი დაკორექტირება:

№	ტერიტორია	საბაზისო განაკვეთი (ლარი)	ტერიტორიული კოეფიციენტი	გადასახადის განაკვეთი (ლარი)
1	ქალაქი დმანისი	0.24	1	0,24
2	დმანისის მუნიციპალიტეტის დანარჩენი ტერიტორიები	0.24	0.50	0.12

პროექტის გავლენა დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე:

ა) განსახილველ პროექტს გავლენა არ ექნება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ)განსახილველი პროექტი პოზიტიურად აისახება ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 24
წინაღმდეგი: 0

5.**მომხსენებელი: მაკა ასლანიშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აღნიშნული პროექტის თანახმად შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულების პირველი პუნქტით შეთანხმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობასთან დაკავშირებით და ნაცვლად ,,(რიგით მეთერთმეტე) - შიდა აუდიტის სამსახურის სპეციალისტი შიდა აუდიტის საკითხებში, ჩაიწეროს (რიგით მეთერთმეტე) - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი ტექნიკურ საკითხებში.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24
წინაღმდეგი: 0

6.**მომხსენებელი : მაკა ასლანიშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - დმანისის მუნციპალიტეტის მერისთვის „მერების შეთანმებასთან" მიერთებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მერების შეთანხმება მიზნად ისახავს რომ, რომ 2050 წლისთვის ყველამ იცხოვროს უნახშირბადო და მედეგ ქალაქებში, უსაფრთხო და სუფთა ენერგიაზე ხელმისაწვდომობით. შევამციროთ ჩვენს ტერიტორიაზე სათბური აირის ემისიები; გაიზარდოს მედეგობა და მოვემზადოთ კლიმატის ცვლილების არასასურველი ზემოქმედებისთვის; ასევე, ვაქციოთ ენერგეტიკულ სიღარიბესთან ბრძოლა, სამართლიანი გადაქმნის ერთ-ერთ საკვანძო წინაპირობად.

მერების შეთანხმების მიხედვით - აღმოსავლეთის ხელმომწერებით დასტურდება რომ შეგვიძლია გადავდგათ ქმედითი ნაბიჯები ახლავე დღევანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ჩვენ ვიმუშავებთ საკუთარი ხედვის განსახორციელებლად.

აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: მიეცეს თანხმობა და დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 24
წინაღმდეგი: 0

7.**მომხსენებელი: ილია სარსევანიძემ** საკრებულოს წევრებს წარუდგინა ფრაქციის წევრებისა და ამავე დროს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამის განხორციელების სამუშაო ჯგუფის (კომისია) წევრების ინიციატივა, ,,სტიქიის შედეგად

სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის Nგ-109.109220254 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
პროგრამის მიმდინარეობისას და შემხვედრი გარემოებებიდან გამომდინარე გამოიკვეთა სხვადასხვა პრობლემები, რომლებიც კომისიის მიერ ადგილზე შესწავლილი იქნა და მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, რათა არ შეიქმნას დამაბრკოლებელი საშუალება, მიზანშეწონილია არნიშნული პროგრამიდან ამოღებული იქნას სიტყვა სოციალურად დაუცველი.

აზრი გამოთქვეს: **თორნიკე ნინიაშვილმა.**

დაადგინეს: მიეცეს თანხმობა და დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 24
წინაღმდეგი: 0

8.მოხსენებელი : მურაზი აბრამიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - დმანისის მუნიციპალიტეტში 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე.

2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა				
N	პროექტის დასახელება	კატეგორია	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	მერიის შენობაში საოფისე ფართების მოწყობა	შენობა ნაგებობები	260000	
2	ქ. დმანისში ყოფილი ბიბლიოთეკის შენობაში სათნოების სახლისთვის შენობის რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობები	120000	
3	სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობები	300000	
4	ქ. დმანისში 9 აპრილის ქ. N 167-ში ,,ააიპ დმანისის სერვის ჯგუფის" შენობის რეაბილიტაციის	შენობა ნაგებობები	362500	50 % ანაზღაურდება 2023 წელს, ხოლო დანარჩენი 50 % 2024 წელს. პროექტის სრული ღირებულება შეადგენს 725000 ლარს
5	სოფ. ირგანჩაიში სარიტუალო დარბაზის მშენებლობა	შენობა ნაგებობები	498200	გარდამავალი პროექტია, დაიწყო 2022 წელს
	[illegible]			

7	დიდი დმანისი-დმანისი-გომარეთი-ბედიანის შგზის 0 კილომეტრზე "მე მიყვარს დმანისი" -ს წარწერის მოწყობის სამუშაოები	კეთილმოწყობა	55000	
8	2023 რგფ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება	სხვა	200300	
9	2023 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება	სხვა	370000	
10	2023 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურება	სხვა	175000	
11	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	სხვა	222500	
	ჯამი		2641500	

2021-2022 წლის პროექტების დასრულებისთვის

N	პროექტის დასახელება	კატეგორია	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	2	3	4	5
2	სოფელ კამარლოში ახალი რეზერვუარის მშენებლობა	წყლები	196999	
11	2022 წ რგფ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება	სხვა	406836	
12	2022 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურება 38 ხელშეკრულება	სხვა	65376	
13	პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	სხვა	33000	
14	2022 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება	სხვა	130623	
18	ქ.დმანისში არსებული მონომენტის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	174174	
21	სოფ. ირგანჩაიში სარიტუალო დარბაზის მშენებლობა	შენობა ნაგებობები	71985	
23	ქ.დმანისში წმ.ნინოს ქუჩა N35-ში სკვერის მოწყობა	კეთილმოწყობა	55641	
34	ქ.დმანისში გორგასლის ქუჩა N1 ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა, სოფ.ზემო კარაბულახის სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა, სოფ.ამამლოს სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობა	კეთილმოწყობა	42249	
20	დმანისის მუნიციპალიტეტის,სოფ.ვარდისუბნიდან სოფ. მაშავერის მიმართულებით საგალოჯიხო ბილიკის მოწყობის	გზები	25760	

15	რგფ პროექტების თანადაფინანსება 1104 მთავრობის განკარგულება (უსეიქენდის გზა)	სხვა	187569	
19	2019-2020-2021 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	სხვა	52120	
			1442332	

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 24
წინაღმდეგი: 0

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ყულიაშვილი

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი